ცხადდება კონკურსი
თსუ-ს ბაკალავრიატის საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე,
მაგისტრატურის საფეხურის მეორე და დოქტორანტურის საფეხურის მესამე და მეოთხე* სემესტრის
სტუდენტებისთვის მინიოს უნივერსიტეტში, ავეიროს უნივერსიტეტში და ევორას უნივერისტეტში
(პორტუგალია) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული PEERS კრედიტ-მობილობის პროგრამის
სტიპენდიების მოსაპოვებლად

მინიოს უნივერსიტეტი PEERS საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, კონსორციუმის ორ პარტნიორთან, ავეიროს უნივერსიტეტთან და ევორას უნივერსიტეტთან ერთად აცხადებს აპლიკაციის მიღებას ერთსემესტრიან გაცვლით პროგრამაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მაგისტრატურის საფეხურის მეორე, დოქტორანტურის საფეხურის მესამე და მეოთხე სემესტრის სტუდენტებს.

მობილობის პერიოდი: *2024/2025 წლის გაზაფხულის სემესტრი* ან *2025/2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი*

მობილობის ხანგრძლივობა: *4 თვე*

სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (მინიოს უნივერსიტეტი/თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- დოკუმენტების შეფასება (მინიოს უნივერსიტეტი/თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მინიოს უნივერსიტეტი)

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი უნდა შეავსონ შემდეგ ვებ-გვერდზე: https://inqueritos.reitoria.uminho.pt/index.php?r=survey/index&sid=224737&lang=pt

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განაცხადის გაკეთების სახელმძღვანელო: https://alunos.uminho.pt/EN/students/mobilityprograms/Pages/PEERS_documentos.aspx

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პირადობის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის - პასპორტის (მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის) ასლი (სკანირებული pdf ვერსია);
2. CV-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv;
1. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);
2. სწავლების მიმდინარე საფეხურის ნიშნების ამონაწერი GPA-ის მითითებით (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);
3. ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (FCE, IELTS, TOEFL - მინიმუმ B2 დონე, აღებული უკანასკნელი 4 წლის მანძილზე) ან თსუ-ს მიერ 2023/2024 სასწავლო წელს ორგანიზებული ინსტიტუციური ენის ტესტირების ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა);
4. ბაკალავრის დიპლომის სკანირებული ვერსია (მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის);
5. ბაკალავრის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით ინგლისურ ენაზე (მხოლოდ

მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის);

6. მაგისტრატურის დიპლომის სკანირებული ვერსია (მხოლოდ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის);
7. მაგისტრატურის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით ინგლისურ ენაზე (მხოლოდ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის);
8. შევსებული სასწავლო ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესავსებად იხილეთ ინფორმაცია შემოთავაზებულ ბმულზე https://alunos.uminho.pt/EN/students/mobilityprograms/Pages/PEERS.aspx მოინიშნეთ თქვენთვის სასურველი საგნების ჩამონათვალი, კონსულტაცია გაიარეთ თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსეთ დოკუმენტის **პირველი გვერდი,** რომელიც შევსების შემდეგ უნდა დაამოწმოთ თქვენი ხელმოწერით და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ხელმოწერით/ბეჭდით;
9. მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე არაუმეტეს 1 გვერდისა; *ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2სმ.*;
10. დოქტორანტურის საფეხურის აპლიკანტის შემთხვევაში: მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (Letter of Interest) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ) ;
11. საკვლევი გეგმის მონახაზი;

განაცხადის გაკეთების ბოლო ვადაა: 2024 წლის 31 მაისი!
განაცხადის გაკეთება პრიორიტეტების მიხედვით შესაძლებელია სამივე უნივერსიტეტზე!

სტიპენდია მოიცავს:

- მიმღებ უნივერსიტეტში რეგისტრაციის გადასახადისაგან გათავისუფლებას,
- ყოველთვიურ სტიპენდიას ევროკომისიის მიერ დადგენილი ნიხრით,
- ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას ევროკომისიის მიერ დადგენილი ნიხრით

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგი ელ-ფოსტის საშუალებით: outgoingmobility@tsu.ge

არასრული ან/და დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება!!!